ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 190

"12" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, წულაძის ქ. N23-ში მდებარე 5338 კვმ მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის, სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 ნოემბრის N06/17615 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქ. თბილისი, წულაძის ქ. N23, 5338 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობების, საკადასტრო კოდი N01.17.11.034.007) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი